



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

28 ივლისი 2026



N189776

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“-სთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ” სამსახურის უფროსის 2026 წლის 11 ივნისის N189475 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარუდგენლობის მიზეზით, შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“-ს (ს/ნ 205010888) (შემდგომ - სუბიექტი) მიმართ გაცემულ იქნა „შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“-სთვის ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) უფროსის 2026 წლის 26 თებერვლის N188411 ბრძანება, რომლის მიხედვით სუბიექტს, როგორც მე-2 კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს დაეკისრა სანქცია 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით და დაეკისრა 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარდგენა ბრძანების ჩაბარების 1 (ერთი) თვის ვადაში.

„შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“-სთვის ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ” სამსახურის უფროსის 2026 წლის 26 თებერვლის N188411 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარუდგენლობის საფუძველით, გაცემულ იქნა „შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“-სთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ” სამსახურის უფროსის 2026 წლის 11 ივნისის N189475 ბრძანება და საწარმოს კანონის 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, დაეკისრა სანქცია 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

საწარმომ 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგება სამსახურში წარადგინა 2026 წლის 30 ივნისს, ხოლო ამავე წლის 3 ივლისს მიმართა სამსახურს განცხადებით, სადაც ყურადღება გაამახვილა მის მიმართ გაცემულ ბრძანებებში არსებულ საწარმოს ზომითი კატეგორიის ჩანაწერების სისწორის საკითხზე და მოითხოვა ფულადი სანქციის ოდენობის შემცირება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი

წესის ხელმოწერა მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

სუბიექტის მიერ 2026 წლის 30 ივნისს სამსახურში წარდგენილი 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებისა და სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 21 ივლისის N 68426-16 მოხსენებითი ბარათის, კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-14 პუნქტის, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „ასკანელი ვაინერი & დისტილერი“-სთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ” სამსახურის უფროსის 2026 წლის 11 ივნისის N189475 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) მეორე აზრად ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


„რისკების მართვის სისტემაში არსებული და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შპს "ასკანელი ვაინერი & დისტილერი" (ს/ნ - 205010888, მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკ. 110ა) (შემდგომ - სუბიექტი) 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის მიზნებისთვის წარმოადგენს მე-3 კატეგორიის საწარმოს და მე-3 კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს. ის ფაქტი, რომ სუბიექტს ევალება კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა დასტურდება შემდეგი კომპანიის მიერ წარდგენილი 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებითა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან: შპს „ასკანელი რიზორტს“ (ს/ნ 406295021).“.

ბ) სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სუბიექტს დაეკისროს ჯარიმა 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;“.

2. აღნიშნული ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

ზაზა რუხაია



სამსახურის უფროსის მ. შ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

